

შპს “იუნაითედ ფემილი” ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
31 დეკემბერი 2024 წელი

შპს „იუნაითედ ფემილი“
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2024
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2	101613
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3	249
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	3	9314
მზა პროდუქცია	4	144948
სხვა	4	1600
სხვა მოკლევადიანი აქტივები	3	25765
ძირითადი საშუალებები	1	315346
სხვა გრძელვადიანი აქტივები	3	12948
სულ აქტივები		611783
სავაჭრო ვალდებულებები	6	14599
ანარიცხები	6	570
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	6	72874
საგადასახადო ვალდებულებები	6	20928
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	5	50000
სხვა ვალდებულებები	6	110266
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	5	351070
სულ ვალდებულებები		620307
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		23257
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		-31781
სულ საკუთარი კაპიტალი		-8524
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		611783

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

შპს „იუნაითედ ფემილი“
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2024
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2	101613
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3	249
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	3	9314
მზა პროდუქცია	4	144948
სხვა	4	1600
სხვა მოკლევადიანი აქტივები	3	25765
ძირითადი საშუალებები	1	315346
სხვა გრძელვადიანი აქტივები	3	12948
სულ აქტივები		611783
სავაჭრო ვალდებულებები	6	14599
ანარიცხები	6	570
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	6	72874
საგადასახადო ვალდებულებები	6	20928
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	5	50000
სხვა ვალდებულებები	6	110266
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	5	351070
სულ ვალდებულებები		620307
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		23257
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		-31781
სულ საკუთარი კაპიტალი		-8524
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		611783

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,

დირექტორი

ფინანსური დირექტორი



შპს „იუნაითედ ფემილი“
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის

	შენიშვნები	2024
საქონლის გაყიდვიდან	7	31485
მომსახურების გაწვიდან	7	3267357
გაყიდვების თვითღირებულება	11	-15695
<u>საერთო მოგება</u>		<u>3283147</u>
სხვა საოპერაციო შემოსავალი	9	20227
დასაქმებულთა ანაზღაურება	8	-1633964
ცვტა / ამორტიზაციის ხარჯი	8	-58044
საპროცენტო ხარჯი	10	-26005
იჯარის ხარჯი	8	-656419
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	8	-864580
<u>სულ საოპერაციო ხარჯები</u>		<u>-3218785</u>
საოპერაციო მოგება		64362
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		-26778
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-46108
<u>საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს</u>		<u>-8524</u>

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

შპს „იუნაითედ ფემილი“
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის

	შენიშვნები	2024
საქონლის გაყიდვიდან	7	31485
მომსახურების გაწვიდან	7	3267357
გაყიდვების თვითღირებულება	11	-15695
<u>საერთო მოგება</u>		<u>3283147</u>
სხვა საოპერაციო შემოსავალი	9	20227
დასაქმებულთა ანაზღაურება	8	-1633964
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	8	-58044
საპროცენტო ხარჯი	10	-26005
იჯარის ხარჯი	8	-656419
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	8	-864580
<u>სულ საოპერაციო ხარჯები</u>		<u>-3218785</u>
საოპერაციო მოგება		64362
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		-26778
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-46108
<u>საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს</u>		<u>-8524</u>

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,

დირექტორი



ფინანსური დირექტორი

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2024 წლის 1 იანვარი	<u>69364</u>	-		<u>-26,778</u>
წმინდა მოგება	-	-	64362	64,362
სხვა სრული შემოსავალი	-	-		
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-		0
გაცემული დივიდენდი	-	-		0
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-46108	-	-	-46,108
2024 წლის 31 დეკემბერი	<u>23256</u>			<u>-8,524</u>

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

შპს „იუნაითედ ფემილი“
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2024 წლის 1 იანვარი	<u>69364</u>	-		<u>-26,778</u>
წმინდა მოგება	-	-	64362	64,362
სხვა სრული შემოსავალი	-	-		
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-		0
გაცემული დივიდენდი	-	-		0
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-46108	-	-	-46,108
2024 წლის 31 დეკემბერი	<u>23256</u>			<u>-8,524</u>

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,

დირექტორი



ფინანსური დირექტორი

ზოგადი ინფორმაცია

შპს იუნაითედ ფემილი (ს/კ 415110454) (შემდგომში „მშობელი კომპანია“) არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მშობელი კომპანია დაფუძნდა 2021 წლის 05 ოქტომბერს. მისი იურიდიული მისამართია საქართველო, ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა, N 9, ბინა 5 .

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ადრეული და სკოლამდელი განათლება.

მფლობელებს შორის წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
დავით წინწკალაძე, 60001017131	100%	100%
სულ	100%	100%

მშობელი კომპანია აკონტროლებს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

შვილობილი	სარეგისტრაციო კოდი	წილი %	მისამართი	დაარსების თარიღი	ინდუსტრია
შპს “ფემილი თოიზ”	405725158	100%	საქართველო, თბილისი, 26/08/2024 საბურთალოს რაიონი, სოფელი დიღომი		ვაჭრობა

საქართველოს ბიზნეს გარემო

ჯგუფის არსებითი საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, ჯგუფი დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც ხასიათდება განვითარებადი ბაზრის მახასიათებლებით. იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, მაგრამ ექვემდებარებიან სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რომლებიც, სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, დამატებით გამოწვევებს უქმნიან საქართველოში მოქმედ იურიდიულ პირებს. წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის შეფასებას, საქართველოს ბიზნეს გარემოს ზეგავლენის შესახებ, ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ჯგუფი ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არა საბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედებაზე უკოტირებული (არაკორექტირებული) ფასებით.
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით)
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს.

შემოსავლები

შემოსავალი მომსახურების გაწევიდან

ჯგუფი შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით საწარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებებს; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

ძირითადი საშუალებები აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, ასევე აქტივის დემონტაჟის და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას. შეფასებითი დანახარჯები აისახება რეზერვის სახით.

იმ შემთხვევაში თუ ძირითადი საშუალების ჯგუფი მოიცავს კომპონენტებს, რომელთა გამოყენების ვადა და ექსპლუატაციის პერიოდი განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე როგორც ძირითადი საშუალების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

შემდგომი ხარჯები

ძირითადი საშუალებების ერთეულის ჩანაცვლების ღირებულება აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებით, თუ იგი უზრუნველყოფს მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას ჯგუფში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვის ყოველდღიური ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგება ან ზარალში.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზადყოფნაში მოსვლის დღიდან. რაც შეეხება ჯგუფის მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენებისთვის მზაობის დღიდან.

ცვეთა აისახება მოგება ან ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის ან იჯარის ხანგრძლივობის მიხედვით უმცირესით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გონივრულ ფარგლებში სარწმუნოა, რომ საკუთრების უფლების მოპოვება ჯგუფის მიერ მოხდება იჯარით აღებულ აქტივზე. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადარის პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

- | | |
|---------------------------------------|--------------|
| • შენობა - ნაგებობები | 5 - 50 წელი; |
| • მანქანა-დანადგარები | 3 - 15 წელი; |
| • ოფისის აღჭურვილობა | 3 - 20 წელი; |
| • ავეჯი | 4 - 15 წელი; |
| • სატრანსპორტო საშუალებები | 5 - 20 წელი; |
| • იჯარით აღებული შენობის კეთილმოწყობა | 20 წელი; |

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

აღიარების შეწყვეტა

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი

საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

არამატერიალური აქტივები აღიარება და შეფასება

შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ შორის საიმპორტო ბაჟს და უკანდაუბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო დისკონტების და ფასდაკლებების დაქვითვის შემდეგ და აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ტარდება არანაკლებ დაგროვილი ამორტიზაციისთვის. ჯგუფში წარმოშობილი არამატერიალური აქტივები, კაპიტალიზებული განვითარების ხარჯების გამოკლებით, არ არის კაპიტალიზირებული და მასთან დაკავშირებული დანახარჯები აისახება მოგება ან ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, როცა გაწეულ იქნა ეს დანახარჯები.

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წარმოებს იმგვარად, რომ მოხდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში.

ამორტიზაცია

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია აისახება მოგება ან ზარალში, შემცირებადი ნაშთის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სავარაუდო სასარგებლო მომსახურეობის ვადები შემდეგია:

- პროგრამული უზრინველყოფა 5 წლამდე;
- სხვა არამატერიალური აქტივები 5 წლამდე;

განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია არ წარმოებს.

აღიარების შეწყვეტა

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

ინვესტიციები არაკონსოლიდირებულ შვილობილ კომპანიაში

ინვესტიცია არაკონსოლიდირებულ შვილობილ კომპანიაში აღირიცხება თვითღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფი ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე.

თავდაპირველი აღიარებისას, ჯგუფი ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად. ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

ჯგუფი ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც ჯგუფში მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც ჯგუფი მას გაასხვისებს.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების

ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური

აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ყველა სხვა ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება და ფასდება „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივი ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამოზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს).

ფინანსური აქტივების გაუფასურება ფინანსური აქტივების რეზერვის ხარჯის გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს ჯგუფის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, ჯგუფი ახდენს მომდევნო 12 თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან აშკარაა მისი გაუფასურება, ჯგუფი ქმნის რეზერვს რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს. ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვი არის ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - აისახება სხვა სრული შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება ზარალში.

იმ დებიტორული დავალიანებებისათვის, რომლებიც არ უფასურდება ინდივიდუალურად, ჯგუფი გაუფასურების რეზერვს განსაზღვრავს კოლექტიურად, რომელიც დაფუძნებულია გადასახდელების მოკრების ჯგუფის წარსულ გამოცდილებაზე, პორტფელში დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვ.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	30 დღეზე ნაკლები	31 – 90 დღე	91-180 დღე	181-365 დღე	365 დღეზე მეტი
რეზერვის განაკვეთი	2%	5%	25%	50%	100%

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საექვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით) კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ფასს 9-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს „შინაარსის ფორმაზე აღმატებულების“ პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება
- კონტროლის გადაცემის შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს ორ კატეგორიად:

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL) ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვა (სავაჭრო ვალდებულებები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად. კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა ფინანსური ვალდებულებები ყველა ვალდებულება, რომელიც არ გადანაწილდა წინა ჯგუფში ხვდება აღნიშნულ კატეგორიაში. აღნიშნული ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფული და ფულის ექვივალენტები ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან (90 დღემდე) ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი		
	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.6894	2.9753
გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.8068	2.9306

მოგების გადასახადი

ჯგუფი მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

კაპიტალი

ფულადი შენატანი საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. როდესაც საწესდებო კაპიტალი იზრდება არაფულადი შენატანის სახით, აღიარდება როგორც დამატებითი შენატანი საწესდებო კაპიტალში.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად, მათი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მტკიცდება მათი განაწილება აქციონერთა საერთო კრებაზე. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის ხელმძღვანელობას არ დასჭირვებია გაეკეთებინა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვაში აღნიშნულისა (მაგალითად, შემოსავლის აღიარება, ცვეთის და ამორტიზაციის ნორმების განსაზღვრა, უიმედო ვალების ანარიცხის განსაზღვრა), რომლებსაც ექნებოდათ არსებითი ზეგავლენა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებსა, ხარჯებზე და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე.

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ჯგუფმა დანერგა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („IASB“) მიერ გამოცემული ყველა ახალი ან შეცვლილი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომელიც სავალდებულოა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდისთვის.

მენეჯმენტს არ დაუწერგავს ძალაში შესვლამდე აღნიშნული სტანდარტები და მათი შეფასებით აღნიშნულ ცვლილებებს არ ექნება მნიშვნელოვანი ზეგავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს „იუნაითედ ფემილი“
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

1.ძირითადი საშუალებები

	ელექტროძრავები და დიზელ-გენერატორები	კომპ. ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	ავთო და სხვა სამეურნეო ინვენტარი	1000 ლარამდე ძირითადი საშუალებები	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კუთილმოწყობა	სხვა ძს	სულ
31 დეკემბერი 2023	0.00	1,913.00	57,407.00	10,010.00	6,035.00	78,861.00	39,039.00	193,265.00
შემოსვლა	1,022.00	6,629.97	53,597.44	7,991.00	90.00	136,804.00	17,540.00	223,674.41
გასვლა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
31 დეკემბერი 2024	1,022.00	8,542.97	111,004.44	18,001.00	6,125.00	215,665.00	56,579.00	416,939.41
ცვეთა და გაუფასურება	0.00							
31 დეკემბერი 2023	0.00	614.00	15338.00	3773.00	361.00	14607.00	8857.00	43,550.00
პერიოდის ცვეთა	0.00	648.61	16295.40	2567.00	1123.00	26949.00	10460.00	58,043.01
გაუფასურება	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	
გასვლა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	
31 დეკემბერი 2024		1262.61	31633.40	6340.00	1484.00	41556.00	19317.00	101,593.01
წმინდა საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2023	0	1299	42069	6237	5674	64254	30182	149,715.00
31 დეკემბერი 2024	1022	7280.36	79371.04	11661	4641	174109	37262	315,346.40

2.1 ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში

სტატუსი		31 დეკემბერი 2024	
		წილი	ლარი
შპს			
"ფემილი	აქტიური	100%	305272
თოიზ"			
სულ			305,272

2024 წელს შპს "იუნაითედ ფემილიმ" დაარსა შპს "ფემილი თოიზ"
ქვემოთ წარმოდგენილია შვილობილის არააუდიტირებული ფინანსური
ინფორმაცია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

	სულ	წმინდა	ფინანსური
	აქტივები	აქტივები	შედები
შპს			
"ფემილი	274,323	-	-36219
თოიზ"			
სულ	274,323	0	-36,219

2. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების
ეკვივალენტები

	2024
ნაღდი ფული საღარიბოში	2,904
	0
ეროვნული ვალუტა ბანკში	95,902
	0
უცხოური ვალუტა ბანკში	2,807
სულ	101,613

3. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	249
ანგარიშვალდებული	
პირები	25765
გადახდილი ავანსები	9314
სხვა	12948
სულ	48,276

4. მარაგები

	2024
საქონელი საწყობში	146548
სულ	146548

5. მოკლევადიანი სესხები

შპს „იუნაითედ ფემილი“
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

	2024
მოკლევადიანი	50000
საბანკო სესხი	351070
სულ	401,070

6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2024
სავაჭრო ვალდებულებები	14599
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	72874
საგადასახადო ვალდებულებები	20928
სხვა ვალდებულებები	110266
ანარიცხები	570
სულ	219,237

7. ამონაგები

	2024
მომსახურების გაწევა	3267357
საქონლის გაყიდვა	31484
	-
სულ	3,298,841

8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1633964
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-58044
იჯარის ხარჯი	-656419
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-864580
სულ	-3,213,007

9. სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

შპს „იუნაითედ ფემილი“
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

	2024
	20227
სხვა შემოსავალი / (ხარჯი)	
	20227
სულ	

10. ფინანსური ხარჯი

	2024
საპროცენტო ხარჯი	-26005
	-26005
სულ	

11. თვითღირებულება

	2024
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-15695
	-15695

1. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

როგორც წესი, დაკავშირებულად განიხილება მხარეები, თუ ისინი იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს მეორეს კონტროლის უნარი, ან მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა აქვს, ან ერთობლივი კონტროლი აქვთ სხვა საწარმოზე და მონაწილეობას იღებენ ფინანსურ და ოპერაციულ საქმიანობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში. ყოველი შესაძლო დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ეთმობა ურთიერთობის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

შპს იუნაითედ ფემილის 100% წილის მფლობელი არის დავით წინწკალაძე,

კომპანიის შვილობილ კომპანიას წარმოადგენს შპს “ფემილი თოიზ”

კომპანიას აქვს გარკვეული ოპერაციები თავის შვილობილ კომპანიებთან .

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

31 დეკემბერი
2024

დებიტორული მოთხოვნები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან	0	
კრედიტორული დავალიანება სხვა დაკავშირებულ მხარეებთან	3050	-

ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება შემდეგია:

2024

ხელფასები და ბონუსები	155262
-----------------------	--------

2. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების თარიღის შემდგომ, საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.